სკოლისათვის მზაობის ექსპრეს-სადიაგნოსტიკო მეთოდიკა

ქეთევან ოსიაშვილი

რას ვამოწმებთ

- ზოგადი უნარ-ჩვევები;
- ცალკეული ფსიქიკური პროცესების (ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, მეტყველება) განვითარების დონე;
- მათემატიკური აზროვნების უნარი;
- კოპირების უნარი;
- ხელის წვრილი მოტორიკის განვითარების დონე.

ზოგადი უნარ-ჩვევები (ელემენტარული ცოდნა საკუთარი თავისა და გარემომცველი სამყაროს შესახებ)

- რა გქვია ?
- რა გვარი ხარ?
- რამდენი წლის ხარ?
- სად ცხოვრობ?
- რა ჰქვია დედას, მამას?
- გყავს თუ არა და-ძმა, რა ჰქვიათ შენს და-ძმებს?
- წელიწადის რომელ დროებს იცნობ? დაასახელე ისინი
- რით განხვავდება ზამთარი და ზაფხული ერთმანეთისაგან?
- რატომ მიფრინავენ ფრინველები თბილ ქვეყნებში?
- რა ჰქვია შენს სამშობლოს?

ყურადღება

- იპოვე განსხვავება მსგავს სურათებს შორის

<u>ჩატარების პროცედურა:</u> ბავშვს ვეუბნებით: ”ეს ორი სურათი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ მათ შორის არის რაღაც განსხვავება. რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?”


TK
TK

მეხსიერება

- გაიმეორე რიცხვები

<u>ჩატარების პროცედურა:</u> ბავშვს ვეუბნებით: ”მე ახლა ჩამოგითვლი 4 რიცხვს. შენ ისინი დაიმახსოვრე და შემდეგ იგივე თანმიმდევრობით გაიმეორე. ეს რიცხვებია: 1, 5, 3, 8

- **რა დაემატა**

<u>ჩატარების პროცედურა:</u> ბავშვს ვუჩვენებთ სურათს. მასზე ხატია თვითმფრინავი, ძაღლი და მანქანა. ბავშვს ევალება კარგად დაიმახსოვროს სურათზე გამოსახული საგნები. შემდეგ სურათი იცვლება. მეორე სურათზე, წინა სურათზე გამოსახულ საგნებს გარდა გამოსახულია 4 საგანი: დელფინი, მზე, წიწილა და კატა. ბავშვს ვეუბნებით; მეორე სურათზე იგივე საგნებია გამოსახული, რაც პირველზე. დამატებულია 4 სხვა საგანი. გამოიცანი რა საგნები დაემატა მეორე სურათზე

დრო პირველი სურათის დასამახსოვრებლად 20 წამი











ელემენტარული მათემატიკა

- **რაოდენობა**

<u>ჩატარების პროცედურა:</u> ბავშვს ვუჩვენებთ 2 სურათს, რომლებზეც საგნების სხადასხვა რაოდენობაა გამოხატული და ვთხოვთ გვითხრას რომელ სურათზეა გამოსახული საგანების უფრო მეტი რაოდენობა



- **მეტობა და ნაკლებობა**

<u>ჩატარების პროცედურა:</u>

ბავშვს ვუჩვენებთ სურათს, მასზე გამოსახულია 2 პეპელა და 4 ფისო. ბავშვმა უნდა გვიპასუხოს რომელია უფრო მეტი პეპელა თუ ფისო

- **ტოლობა და მეტობა**

<u>ჩატარების პროცედურა;</u> ბავშვს ვუჩვენებთ სურათებს, ორ მათგანში ერთნაირი რაოდენობის სათამაშოა, ორში კი სათამაშოების რაოდენობა სხვადასხვანაირია. ბავშვმა უნდა გვიპასუხოს რომელ სურათებშია ტოლი (ერთნაირი) რაოდენობის სათამაშოები და რომელ სურათებშია სათამაშოები არათანაბრად (რამდენიც ერთშია, ინდენივე არ არის მეორეში). რომელი სათამაშოებია არათანაბრად, მანქანები, თუ თოჯინები?

- **რიგობრივი ნომერი**

<u>ჩატარების პროცედურა:</u> ბავშვს ვუჩვენებთ 6 სურათს. სურათები ორ მწკრივად არის დალაგებული. ბავშვმა უნდა იპოვოს ის სურათი, რომელიც პირველ მწკრივში მარცხნიდან პირველ ადგილზეა ან მეორე მწკრივში მარჯვნიდან მესამე ადგილზეა.

- **კოპირება**

ჩატარების პროცედურა: ბავშვს ემლევა ფურცელი სხვადასხვა სახის ფიგურების გამოსახულებით. მას ევალება მოახდინოს კოპირება და დახატოს ზუსტად ისეთი ფიგურები, როგორიც ფურცელზეა გამოსახული



№	შეფასების კომპონენტები	შეფასება		
		დაბალი	საშუალო	მაღალი
1.	ზოგადი უნარ-ჩვევები			
2.	ყურადღება			
3.	მეხსიერება			
4.	აზროვნება			
5.	მათემატიკური აზროვნება			
6.	კოპირების უნარი			